შპს “**M&G**”

ტელ.: +(995) 597330603
ელ.ფოსტა:maridugashvili77@gmail.com

LLC “M&G”

Tel.: +(995) 597330603
e-mail: maridugashvili77@gmail.com

ს/კ ID **216408536**

19 იანვარი 2022 წელი

# ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში № IR_01

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ინსპექტირების/ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირების/ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.

**ინსპექტირების (ექსპერტიზის)ობიექტი:**

ქ. თბილისში **ბერი გაბრიელ სალოს გამზირი VI, შესახვევი №1** (საკადასტრო კოდი 01.17.11.026.032), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი.

**ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარების საფუძველი:**

განაცხადი ინსპექტირების ჩატარებაზე: 10.01.2022-ის ხელშეკრულება: № **01-01-2022**;

**დამკვეთი:**

**შპს „გეობულინვესტი“**, (ს/კ 206164960), დირექტორი **მალხაზ დათუკიშვილი** (პ/ნ:01006002250);

**ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებელი:**

ინსპექტირების ტექნიკური მენეჯერი - **მარინე დუღაშვილი**, არქიტექტორი, სპეციალობით მუშაობის სტაჟი - 17 წელი;

**ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარებაზე განაცხადის შინაარსი:**

ქ. თბილისში **ბერი გაბრიელ სალოს გამზირი VI, შესახვევი №1** (საკადასტრო კოდი 01.17.11.026.032), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი. არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის საფუძველზე.

**ინსპექტირების დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტები:**

1 პროექტის ელ.ვერსია (10.01.2022)

**ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი:** 11.01.2022 – 19.01.2022

# ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში

## დ ა ს კ ვ ნ ა

**შპს „გეობულინვესტი“, (ს/კ 206164960)** მიერ, დირექტორი მალხაზ დათუკიშვილის, განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული მასალების საფუძველზე, ქ. თბილისში ბერი გაბრიელ სალოს გამზირი VI, შესახვევი №1 (საკადასტრო კოდი 01.17.11.026.032), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირების შედეგად შეიძლება აღინიშნოს, წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილ პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

იხ. გამოკვლევითი ნაწილი;

იხ. დანართი №1 (ცხრილები) 5 (ხუთი) ფურცლად;

## გამოკვლევა

წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, დამკვეთის მიერ მოთხოვნილია ქ. თბილისში ბერი გაბრიელ სალოს გამზირი VI, შესახვევი №1 (საკადასტრო კოდი 01.17.11.026.032), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, რომელიც მოიცავს:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი გამიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ქ. თბილისში ბერი გაბრიელ სალოს გამზირი VI, შესახვევი №1 (საკადასტრო კოდი 01.17.11.026.032), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ჩაუტარდა ინსპექტირება.

მიწის ნაკვეთი (2059 კვ.მ) მდებარეობს ქალაქ თბილისში. ტერიტორიაზე მთავარი მისასვლელი არის დასავლეთით მდებარე შიდაკვარტალური გზიდან, საპროექტო ნაკვეთის სამხრეთით, საკადასტრო საზღვრიდან 20 მეტრ მანძილში მდებარეობს საცხოვრებელი კორპუსი, ჩრდილოეთის მხრეს - გზა და საცხოვრებელი კორპუსის ეზო, ხოლო აღმოსავლეთით - ელექტროქვესადგურამდე ემიჯნება 4.50 -5.65 სიგანის გზა.

„ა“ ბლოკის ± 0.00 ნიშნულს შეესაბამება 399,80 აბსოლუტური ნიშნული.

პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით საპროექტო ობიექტი ჩამოყალიბდა როგორც „ა“ ბლოკი მშენებარე და „ბ“ ბლოკი ასაშენებელი. აღნიშნული ცვლილებით ორივე შენობა არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტით წარმოადგენს ერთი საძირკვლის მქონე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს ორი დამოუკიდებელი მისასვლელით.

პროექტის ცვლილებას საფუძვლად დაედო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემული 06.08.2021წ. განკარგულება N365

პროექტის მიხედვით შენობა არის 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2 მიწისზედა პარკინგით, რომელიც მოწყობილია შენობის „ა“ ბლოკში და ერთი ღია პარკინგით - „ბ“ ბლოკში. ასევე, შენობას გააჩნია ღია ავტოსადგომები. დანარჩენი სართულები პირველი სართულის ზემოთ საცხოვრებელი ბინებია.

პროექტის მიხევით შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, კერძოდ: შენობაში გათვალისწინებულია თითო-თითო შეუბოლავი კიბის უჯრედი ორივე ბლოკში, სადაც გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო სისტემა; პროექტის მიხევით ორივე ბლოკში შენობა უზრუნველყოფილია თითო-თითო ლიფტით, რომელშიც მოწყობილია დაწნევის სისტემა. ასევე პროექტი ითვალისწინებს სახანძრო განგაშისა, კვამლაღმომჩენ და ცეცხლაღმომჩენ სისტემებს. პროექტის ითვალისწინებს კიბის უჯრედებში, „ბ“ ბლოკის ±0,000 ნიშნულზე და ავტოსადგომებზე გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემა, საცხოვრებელ სართულიების

კიბის უჯრედი და სადარბაზო ფოიე უზრუნველყოფილია საავარიო განათების სიტემით; ასევე შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების დამონტაჟება და სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი, რომელიც მდებარეობს „ა“ ბლოკის ჩრდილოეთით, 1-2 ღერძებს შორის.

პროექტის მიხედვით შენობა აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს, გათვალისწიენბულია შშმ პირებისათვის საცხოვრებელი „ა“ და „ბ“ ტიპის ბინები და პარკინგები ნორმების შესაბამისად.

პროექტის მიხედვით შენობის სტრუქტურას წარმოადგენს საძირკვლის ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისაგან, კოჭებისაგან, სართულშუა გადახურვის და სახურავის ფილებისაგან. შენობის განაპირა მხარეებს, კიბის უჯრედებს და ლიფტებს უწყვეტად მიუყვება გაძლიერებული ბეტონის სიხისტის დიაფრაგმები. კიბის სტრუქტურა შედგება გაძლიერებული ბეტონისაგან.

**წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტში, საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად, შესრულებული არის დამაკმაყოფილებლად:**

**ა) დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვები გამოანგარიშებულია;**

შენობისა და ნაგებობის კლასიფიცირებას გამოყენებისა და დაკავებულობის მიხედვით არეგულირებს მე-3 თავი.

წარმოდგენილი პროექტი არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც თავმოყრილია 2 დაკავებულობის ჯგუფი:

**სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (*მიწისზედა ავტოსადგომი - „ა“ ბლოკში ±0.00 ნიშნულზე და ღია ავტოსადგომი „ბ“ ბლოკში -3,00 ნიშნულზე*));

**საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** *(საცხოვრებელი ბინები „ა“ ბლოკში +3.00 -- +22,80 ნიშნულებზე; საცხოვრებელი ბინები „ბ“ ბლოკში ±0.00 -- +23,00 ნიშნულებზე;)*

დაკავებულობის ფაქტორის განსაზღვრა ხდება 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილში მოცემული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით.

„ა“ და „ბ“ ბლოკებში განთავსებულია ავტოსადგომი კლასიფიცირებულია როგორც სასაწყობო ჯგუფი სწ-2, რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი თითო დამკავებელზე და შეადგენს „ა“ ბლოკში- *ავტოსადგომი -1* დ.დ. 10, *ავტოსადგომი*

-*2* დ.დ. 6 ადამიანს, სულ 16 ადამიანი; ხოლო „ბ“ ბლოკში -17 ადამიანს, ორივე ბლოკის ჯამური რაოდენობა არის 33 ადამიანი.

„ა“ ბლოკში მეორე სართულიდან მე შვიდე სართულის ჩათვლით და „ბ“ ბლოკში - პირველი სართულიდან მერვე სართულის ჩათვლით განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგოც საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი თითო დამკავებელზე. „ ა“ ბლოკის სართულზე დატვირთვა წარმოადგენს 22 ადამიანს, შესაბამისად 7 სართულზე - 154 ადამიანს, ხოლო „ბ“ ბლოკში - პირველ სართულზე 17 ადამიანს, მე-2 დან მერვეს ჩათვლით 20 ადამიანს, რაც ჯამურად უდრის 157ადამიანს. შესაბამისად მთლიანად საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 311 ადამიანს .

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 344 ადამიანს.

## ბ) კონსტრუქციის ტიპები;

შენობების კლასიფიცირებას კონსტრუქციის ტიპების მიხედვით და შენობის სხვადასხვა ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხს არეგულირებს მე-6 თავი.

შენობის სტრუქტურას წარმოადგენს საძირკვლის ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისაგან, კოჭებისაგან, სართულშუა გადახურვის და სახურავის ფილებისაგან. შენობის განაპირა მხარეებს, კიბის უჯრედებს და ლიფტებს უწყვეტად მიუყვება გაძლიერებული ბეტონის სიხისტის დიაფრაგმები. კიბის სტრუქტურა შედგება გაძლიერებული ბეტონისაგან

შენობა ნაგებობის კონსტრუქცია შერჩეულია ცხრილი 601-ის მიხედვით. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის სთ) და წარმოადგენს I–B ტიპის კონსტრუქციას, შესაბამისად სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლისა დაფართობის) მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N1; დანართი №1).

## გ) სიმაღლეების და ფართობების სიდიდეები;

მიშენება-დაშენებების სიმაღლესა და ფართობს არეგულირებს მე-5 თავი.

შენობა-ნაგებობის სიმაღლე და ფართობი განისაზღვრება 503 ცხრილის მიხედვით მე-6 თავის შესაბამისად განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპისა და მე-3 თავის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობებით.

I-B კლასის კონსტრუქციული ტიპის შენობებისათვის, 503 ცხრილის მიხედვით შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 48,8 მეტრია, პროექტით შემოთავაზებული

სიმაღლები კი „ა“ ბლოკში - 29.60 მ, ხოლო „ბ“ ბლოკში -30.15 მ, რაც ნორმებთან შესაბამისობაშია.

503 ცხრილის მიხედვით:

- წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე სართულების მაქსიმალური რაოდენობაა I-B კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში არის 11 სართული, ხოლო შენობა კი წარმოადგენს 8 სართულს, შესაბამისად პროექტით შემოთავაზებული სართულიანობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი N2; დანართი №1);
- წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე მაქსიმალური დასაშვები ფართობი თითოეულ სართულზე I-**B** კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში სც ჯგუფისთვის შეუზღუდავია, ხოლო სწ-2 ჯგუფისთვის 7340 კვ.მ შესაბამისად პროექტით შემოთავაზებული ფართები აკმაყოფილებს მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N3; დანართი №1).

**დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები;**

გასასვლელი საშუალებების მოთხოვნებს არეგურილებს მე-10 თავი.

ცხრილი 1015.1 1021.1 და 1021.2 მიხედვით ყოველ სართულს ესაჭიროება 1 გასასვლელი. წარმოდგენილ პროექტში ავტოსადგომებზე ორივე ბლოკში გათვალლისწინებულია 1-1 გასასასვლელები; „ბ ბლოკში 0,000 ნიშნულზე გათვალიწინებულია 2 შენობიდან გამოსასვლელი. მეორედან მერვე სართულის ჩათვლით გათვალიწინებულია თითოეულ სართულზე 1 გამოსასვლეი; ხოლო „ა“ ბლოკში მეორედან მეშვიდე სართულის ჩათვლით 1 გასასვლელი, რაც აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი N4; დანართი №1).

ყველა დამოუკიდებელი ფართის მიმართ გასასვლელების რაოდენობა შერჩეულია ქვეთავი 1015-ის მოთხოვნების შესაბამისად. 1016 ქვეთავის მიხედვით გასასვლელთან მისადგომის საზღვრებში მოქცეული სავალი მანძილი უნდა გაიზომოს სართულის საზღვრებში მდებარე ყველაზე მოშორებული წერტილიდან. პროექტში მითითებული გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილები შეესაბამება 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.

**ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა გამოანგარიშებულია;**

გასასვლელი საშუალების ზომას არეგულირებს 1005 ქვეთავი.

პროექტი წარმოადგენს „ა“ ბლოკში 7 და „ბ“ ბლოკში - 8 სართულიან შენობას, შესაბამისად მიწის დონის ზედა სართულებზე მოწყობილია 1-1 გასასვლელი კიბეები. „ა“ ბლოკში ორივე ავტოსადგომს გააჩნია თითო-თითო გასასვლელი, ასევე „ბ“ ბლოკში ღია ავტოსადგომისთვისაც განკუთვნილია 1 გასასვლელი. კარების და კიბეების სიგანეები და

სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N4; დანართი №1).

**ვ) მისაწვდომობის მოთხოვნა;**

მისაწვდომობის მოთხოვნებს არეგულირებს მე-11 თავი.

წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს. 1107 ქვეთავის (საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები) მიხედვით აღნიშნული შენობა აკმაყოფილებს „ა“ და „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულების მოთხოვნებს, კერძოდ „ა“ ბლოკში +3,30 ნიშნულზე და „ბ“ ბლოკში +6,30 ნიშნულზე მოწყობილია „ა“ ტიპის საცხოვრებელი ბინები, ხოლო დანარჩენი საცხოვრისები წარმოადგენენ „ბ“ ტიპს ბინებს . 1106 ქვეთავის (ავტოსადგომი და სატრანსპორტო საშუალებების მგზავრებით დატვირთვის ზონაში არსებული) მიხედვით ავტოსადგომი აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. პროექტი აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს.

**ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნები;**

შენობა-ნაგებობას, როდესაც ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (გზა) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აითვლება გზის ღერძიდან. დანარჩენ მხარეებზე კი ნაკვეთის საზღვრიდან.

705.8 ცხრილის მიხედვით, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მეტია 9 მეტრზე გარე კედელზე ღიობების დასაშვები ფართობი არის შეუზღუდავი. თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 3 მეტრია ან აღემატება 3 მეტრს და ნაკლებია 4.5 მეტრზე გარე კედელზე დაუცული ღიობები, საშხეფის გარეშე დასაშვები ფართობი არის 15%. თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 4,5 მეტრია ან აღემატება 4,5 მეტრს და ნაკლებია 6 მეტრზე გარე კედელზე დაუცული ღიობები, საშხეფის გარეშე დასაშვები ფართობი არის 25%. თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 6 მეტრია ან აღემატება 6 მეტრს და ნაკლებია 7,5 მეტრზე გარე კედელზე დაუცული ღიობები, საშხეფის გარეშე დასაშვები ფართობი არის 45%. შესაბამისად წარმოდგენილ პროექტში კედლის ღიობების ფართობები ნორმების ფარგლებშია (იხ. ცხრილი N5; დანართი №1).

წარმოდგენილ პროექტში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე 602 ცხრილის მიხედვით გარე კედელზე ესაჭიროება 1 საათიანი ხანძარმედეგობა, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი $3 \leq X < 9$ მეტრზე, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი $X \geq 9$ მეტრზე გერე კედელზე ხანძარმედეგობის ხარისხი არის 0 საათი, თუმცა პროექტით გათვალიწინებულია ყველა გარე კედლებზე ხანძარმედეგობის ხარისხი 2 სთ (იხ. ცხრილი N5; დანართი №1).

წარმოდგენილ პროექტის მიხედვით გარე კედლების ნაწილი შელესილია ქვიშა ცემენტის ხსნარით და შემდგომ დამუშავებულია მაღალი ხარისხის საღებავით. აივანის მოაჯირებად გამოყენებულია ლითონის მილები, რომლებიც დამუშავდება

ანტიკოროზიული ხსნატით, ხოლო აივნის იატაკი მოპირკეთებულია კერამიკული ფილით.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს მე-7 და მე-14 თავის მოთხოვნებს.

**თ) სახურავის ანაწყობები;**

სახურავის ანაწყობებსა და სახურავზედა ნაგებობებს მე-15 თავი არეგულირებს.

წარმოდგენილ პროექტში შენობის გადახურვას წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის გადახურვის ფილა, ატმოსფერული ნალექებისგან დასაცავად მოწყობილია შესაბამისი ფენილიები და წყალ ამრიდი საშუალებები, რკინაბეტონის ფილა, ორთქლიზოლაცია, თბოიზოლაცია ქვა-ბამბა 5 სმ სისქის, საშუალოდ 8 სმ სისქის ბეტონის მოწყობა მოჭიმვა, ჰიდროიზოლაცია, კერამოგრანიტის ფილა, ხოლო პარაპეტის თავი მოპირკეთებულია ბაზალტის 3 სმ-იანი ფილით. სახურავის ანაწყობები შეესაბამება 1505 თავის მოთხოვნებს. I-B კლასის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს B კლასის სახურავების ანაწყობების მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი N6; დანართი №1).

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს მე-15 თავის მოთხოვნებს.

**ი) ცეცხლმედეგობის გამმიჯნავები;**

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების მოთხოვნებს არეგულირებს მე-7 თავი.

წარმოდგენილ პროექტში შენობა-ნაგებობის ცეცხლმედეგი მასალები აკმაყოფილებს 703 თავის მოთხოვნებს. გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილ ადგიმებში 2 საათიანია, შესაბამისი აღნიშვნები დატანილია გეგმებზე და ჭრილებზე, რაც ნორმების ფარგლებშია (იხ. ცხრილი N5; დანართი №1).

ცეცხლმედეგობის გამიჯვნები ყველა ნაწილში 2 საათიანია და აკმაყოფილებს ცხრილი 508.4 -ის მოთხოვნებს.

**კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემები;**

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისადმი მოთხოვნებს არეგულირებს მე-9 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია: 907 ქვეთავის მიხედვით სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, 905 ქვეთავის მიხედვით სახნძრო მილდგარების სისტემები, 909 ქვეთავის მიხედვით კვამლის საკონტროლო სისტემები, 906 ქვეთავის მიხედვით ხელის ცეცხლმაქრები და 912 ქვეთავის მიხედვით სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ მისაერთებელი. (იხ. ცხრილი N7; დანართი №1).

**ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ანგარიშები;**

წყალსადენი საშუალებებისადმი მინიმალურ მოთხოვნებს არეგულირებს მე-16 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები, დათვლილია და აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N8; დანართი №1).

შესაბამისად, წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

**კვლევაში გამოყენებული მასალები და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:**

1. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28);
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.

ექსპერტი

მარინე დუღაშვილი

## დანართი №1

ცხრილი N1

| კონსტრუქციის ტიპი: | |
|---|---|
| განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: | I-B |

ცხრილი N2

| სიმაღლის შეზღუდვები<br>*ცხრილი 503 -ის მიხედვით* | | |
|---|---|---|
| **დაკავებულობები** | **დასაშვები სართულია** | **შემოთავაზებული სართულიანობა** |
| სასაწყობო ჯგუფი სწ-2 | 11 | 1<br>„ა“ ბლოკი 1 სართული<br>„ბ“ ბლოკი (*მიწის დონის ქვედა სართული*)- 1 სართული |
| საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 | 11 | 7<br>„ა“ ბლოკი მე-2-დან მე-8 სართული ჩათვლით<br>8<br>„ა“ ბლოკი 1-დან მე-8 სართული ჩათვლით |
| | **დასაშვები სიმაღლე** | **შემოთავაზებული სიმაღლე** |
| **შენობის სიმაღლე =** | 48,8 | „ა“ ბლოკში - 29.60 მ<br>„ბ“ ბლოკში -30.15 მ |
| **მიწის დონის ზემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა** | 11 | 8 სართული |

ცხრილი N3

| ფართობის შეზღუდვები<br>*ცხრილი 503 -ის მიხედვით* | | |
|---|---|---|
| **დაკავებულობები** | **დასაშვები ფართობი (სართულზე)** | **შემოთავაზებული ფართობი (სართულზე) კვ.მ** |
| სასაწყობო ჯგუფი სწ-2 | 7340 | „ა“ ბლოკში -281,10 (1)<br>„ბ“ ბლოკში -307,30 (-1) |
| სცხოვრებელი ჯგუფი სც-2 | შეუზღუდავი | „ა“ ბლოკში -344,60 (2-7)<br>„ბ“ ბლოკში - 393,6 (1)<br>„ბ“ ბლოკში -320,0 (2-8) |
| **შემოთავაზებული ფართობების ჯამი =** | 4945.80 (სც-2) +588,4 (სწ-2) =5537,2 | |
| **სართულების რაოდენობა =** | 8 სართული | |

ცხრილი N4

| თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სართულები** | **დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი** | **მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა** | **გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი** | **გასასვლელი საშუალებების სიგანე** *(მეტრი)* | | | | | |
| | | | | **გზა-კიბეები** | | **დერეფანი** | | **გასასვლელის გზა-კარი** | |
| | | | | **მოთხოვნილი** | **გათვალისწინებული** | **მოთხოვნილი** | **გათვალისწინებული** | **მოთხოვნილი** | **გათვალისწინებული** |
| **„ა“ ბლოკში** *±0.00 ნიშნულზე* | **სწ-2,** **ავტოსადგომი -1** დ.დ. 10 **ავტოსადგომი -2** დ.დ. 6 | 1 (შენობიდან გასასვლელი) | **ავტოსადგომი -1** 1 (შენობიდან გასასვლელი) **ავტოსადგომი -2** 1 (შენობიდან გასასვლელი) | -- | -- | - | - | 0.82<br>0,82 | 0,92<br>0,92 |
| **„ა“ ბლოკში** *+3.00 -- +22,80 ნიშნულებზე* | **სც-2,** დ.დ. 22 | 1 (შენობიდან გასასვლელი) | 1 (შენობიდან გასასვლელი) | 1,20 | 1,20 | 1,20 | 1,60 | 0.82 | 0,92 |
| **„ბ“ ბლოკში** *-3,00 ნიშნულზე* | **სწ-2,** დ.დ. 17 | 1 (შენობიდან გასასვლელი) | 1 (შენობიდან გასასვლელი) | 1.20 | 1.20 | - | - | 0.82 | 0,92 |
| **„ბ“ ბლოკში** *± 0,00 ნიშნულზე* | **სც-2** დ.დ 17 | 1 (შენობიდან გასასვლელი) | 2 (1გასასვლელი კიბე/1 გასასვლელთან მისადგომი დერეფანი) | 1.20 | 1.20 | 1,20 | 2,00 | 0.82 | 0,92 |
| **„ა“ ბლოკში** *+3,30 -- +23,00 ნიშნულებზე* | **სც-2,** დ.დ. 20 | 1 (შენობიდან გასასვლელი) | 1 (შენობიდან გასასვლელი) | 1,20 | 1,20 | 1,20 | 2,0 | 0.82 | 0,92 |

Activate Windows
Go to Settings to activate Windows.

ექსპერტი ---------- /მარინე დუღაშვილი/

ცხრილი N5

| გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები<br>*ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით* | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გარე კედელი** | **ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (*მეტრი*) | **ცეცხლმედეგობის ხარისხი** (*საათი*) | | **კედლის ღიობების ფართობი** (*კედლის %*) | | | | | |
| | | **მოთხოვნილი** | **გათვალისწინებული** | **დასაშვები** | | | **გათვალისწინებული** | | |
| | | | | **დაცული** | **დაუცველი საშუალებით** | **დაუცველი** | **დაცული** | **დაუცველი საშუალებით** | **დაუცველი** |
| 1-5 (ღერძებში) | 6,69 | 1 | 2 | შეუზღუდავია | შეუზღუდავია | 45% | -- | -- | 9.2 % |
| 5-8 (ღერძებში) | >9 | 0 | 2 | აუცილელელი არ არის | აუცილელებელი არ არის | შეუზღუდავია | -- | -- | არ იზღუდება |
| ბ'-ე (ღერძებში | 3.0 | 1 | 2 | 45% | 45% | 15% | – | – | 12.3% |
| 8-7 (ღერძებში) | 4.5 | 1 | 2 | 75% | 75% | 25% | -- | -- | 23.3% |
| 7-1 (ღერძებში) | 6,90 | 1 | 2 | შეუზღუდავია | შეუზღუდავია | 45% | -- | -- | 21,7% |
| ე-ა (ღერძებში) | >9 | 0 | 2 | აუცილელელი არ არის | აუცილელებელი არ არის | შეუზღუდავია | -- | -- | არ იზღუდება |

ცხრილიN6

**ცხრილი 1505.1ა**

**სახურავის მინიმალური ბურულების კლასიფიკაცია კონსტრუქციის ტიპებისთვის**

| IA | IB | IIA | IIB | IIIA | IIIB | IV | VA | VB |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| B | B | B | C ბ | B | C ბ | B | B | C ბ |

ექსპერტი ---------- /მარინე დუღაშვილი/

ცხრილი N7

| ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაკვებულობები/ სივრცეები/გასასვლელი საშუალებები | ავტომაშინე ფი სისტემა | ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები | სახანძრო განგაშისა, კვამლაღმოჩ ენი და ცეცხლაღმოჩ ენი სისტემები | სახანძრო მილსადგარებ ის სისტემები | კვამლის საკონტროლო სისტემები | ხელის ცეცხლმაქრები | საევარიო განგაშის სისტემები |
| სასწავლო ჯგუფი სწ-2 | – | – | კი | კი (II კლასის) | – | კი | – |
| საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 | – | – | კი | – | – | კი | – |
| კიბის უჯრედი | - | - | - | კი (I კლასის) | კი ( მექანიკური განიავების სისტემით– | – | – |
| ლიფტები | - | - | - | ⊦ | კი (დაწნევის სისტემა) | – | – |
| დერეფანი | – | - | კი | კი (II კლასის) | – | კი | – |
| სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები | | | | კი („ა“ ბლოკის ჩრდილოეთით, 1-2 ღერძებს შორის) | | | |
| სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი | | | | – | | | |

ექსპერტი ---------- /მარინე დუღაშვილი/

ცხრილი N8

| წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა (მილის დონის ქვედა და პირველი სართულისთვის) *ცხრილი 1602.1-ის მიხედვით* | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სართულები | დაკვეთილობა და დაკვეთილობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი | ფიქსირებული მოწყობილობები (ცალი) | | | | | | | | | | | |
| | | უნიტაზი | | ბუაღეტის ხელსაბანები | | აბაზანა/შხაპი | | სასმელი წყლის ფონტანი | | სამომსახურეო ნიჟარა | | სამრეწველოს ნიჟარა | |
| | | აისბერგისად | აისბერგის ნაკლებად | აისბერგისად | აისბერგის ნაკლებად | აისბერგისად | აისბერგის ნაკლებად | აისბერგისად | ეს არის | აისბერგისად | აისბერგის ნაკლებად | აისბერგისად | აისბერგის ნაკლებად |
| „ა" მდგომი ±0.00 ნიშნულზე | სწ-2, ავტოსადგომი -1 დ.დ. 10 ავტოსადგომი -2 დ.დ. 6 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| „ა" მდგომი +3.00 -- +22,80 ნიშნულებზე | სც-2, დ.დ. 22 ბინები №1-დან №35 ჩათვლით | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | - | - | 1 | 1 | 1 | 1 |
| „ბ" მდგომი -3,00 ნიშნულზე | სწ-2, დ.დ. 17 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| „ბ" მდგომი ± 0,00 ნიშნულზე | სც-2 დ.დ 17 ბინები №1';2'; 3';4' | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | - | - | 1 | 1 | 1 | 1 |
| „ა" მდგომი +3.30 -- +23,00 ნიშნულებზე | სც-2, დ.დ. 20 ბინები №5'-დან №39' ჩათვლით | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | - | - | 1 | 1 | 1 | 1 |

ექსპერტი ---------- /მარინე დუღაშვილი/

# საქართველოს საერთაშორისო აკადემია
# ГРУЗИНСКАЯ МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ
# GEORGIAN INTERNATIONAL ACADEMY

# დიპლომი

# ДИПЛОМ DIPLOMA

დიდი სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის „25“ ნოემბრის გადაწყვეტილებით

მარინე დუღაშვილს

მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება. (ოქმი №10/1)

The Academic council made a decision to confer a title of dotsent to

Marine Dughashvili

(proceedings №10/1 „25“ Novemb 20 10year)

დიდი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
აკადემიკოსი გ. ჩაფიძე
CHAIRMAN OF THE ACADEMIC COUNCIL,
AKADEMICIAN: G. CHAPIDZE.

№ა3 3643/1
25.11.2010

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

# DIPLOMA

**with honours**

STU № 004559

This is to certify that Mr./Mrs. Marine Dugashvili in the year 2002 completed a full Master's course of the Georgian Technical University majoring in Urbanization

By resolution of the State Examination Board, dated February 28, 2002 Mrs Marina Dugashvili is conferred the degree of Master of Architecture

Rector .....

Seal

Chairman of the State Examination Board .....

Dean .....

City Tbilisi March 28, 2002

Registration № 0526 Secretary .....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# დიპლომი

**წარჩინებით**

სტუ № 004559

მიეცა ქალიან მიხეილის ასულ დუღაშვილს

მასზედ, რომ მან 2002 წელს დაამთავრა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

მაგისტრატურის სრული კურსი, სპეციალობით

ურბანისტიკა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 28.02 გადაწყვეტილებით

ქალიან მიხეილის ასულ დუღაშვილს მიენიჭა

არქიტექტორის მაგისტრის ხარისხი

რექტორი .....

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე .....

დეკანი .....

ქალაქი თბილისი 28. 03. 2002წ.

სარეგისტრაციო № 0526 მდივანი .....

GEORGIA

# DIPLOMA AA № 0004837 ❋

**WITH HONOURS**

This is to certify that Mr / Ms Marine Dugashvili M.
in 1999 completed a full academic course of the Institute
of Architecture of the Georgian
Technical University
majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July
15, 1999 Mr / Ms Marine Dugashvili M. is
conferred the present DIPLOMA and the qualification of
Architect

Seal of Office

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City Tbilisi 22.09.1999

Registration № 1800 Secretary

საქართველო

# დიპლომი AA № 0004837 ❋

**წარჩინებით**

მიეცა მარინე დუგაშვილს მ.

მასზედ, რომ მან 1999 წელს დაამთავრა საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის

ფაკულტეტის სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის „15" ივლისის

გადაწყვეტილებით მ. დუგაშვილს მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 22.09.1999წ.

სარეგისტრაციო № 1800 მდივანი

# სამუშაო გამოცდილება

## მარინე დუღაშვილი

მობილური: **(+995)597 330603**
ელ-ფოსტა: **maridugashvili77@gmail.com.**
ოჯახური მდგომარეობა: დასაქორწინებელი
დაბადების თარიღი: 11 ივლისი, 1977

## განათლება

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი** - 2019/სექტემბერი-დღემდე-დოქტორანტი

**საქაართველოს საერთასორისო აკადემია, საქართველო,** ივნისი/2010 წ. - ნოემბერი/2010 წ.
არქიტექტორი, სამეცნიერო წოდება - დოცენტი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,საქართველო,** თებერვალი/2000 წ.- თებერვალი/2002 წ.
არქიტექტორი, ურბანისტიკის მაგისტრი;

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,** სექტემბერი/1995 წ.- ივლისი/1999 წ.
არქიტექტორი, არქიტექტურა, დიპლომირებული სპეციალისტი;

## სამუშაო გამოცდილება

**ქართულ-ამერიკული უნივერსისტეტი (GAU) -**(სექტ/2019-დღემდე)
მოვალეობა: ლექტორი

**დამფუძვნებელი, არქიტექტორი, შპს M&G**, ოქტ / 2014- დღემდე
მოვალეობები: არქიტექტურული და დიზაინის პროექტების შექმნა, არქიტექტურული პროექტების ექსპერტიზა; ფირმის მართვა და მენეჯმენტი.

**სამსახურის უფროსის მოადგილე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი, მერიის, ქონების მართვის, ურბანული დაგეგმარების და ეკონომიკური განვითარების სამსახური,**
( აგვ / 2014 - ოქტ / 2014)
მოვალეობები: სამსახურის უფროსის მოადგილე ურბანული დაგეგმარების საკითხებში
მიზეზი: რეორგანიზაცია,

**სამსახურის უფროსის მ/შ, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახური**, (აპრ / 2014 - აგვ / 2014)

მოვალეობები: სამსახურის დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები
მიზეზი: რეორგანიზაცია

**სამსახურის უფროსის მოადგილე, თვითმმართველი ქ. რუსთავის მერია**,
(აპრ / 2014 - აპრ /2014)
მოვალეობები: ურბანული დაგეგმარების და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე.
მიზეზი: დაწინაურება

**წამყვანი სპეციალისტი, თვითმმართველი ქალაქი რუსტავის მერიის ურბენული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახური**, ივნ / 2008 - აპრ / 2014,
მოვალეობები: 1 ეტაპის პროექტების შემოწმება და შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება; მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის პროექტების შემოწმება და შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება; 1 კლასის შენობა-ნაგებობების განხილვა და შესაბამისი წერილობითი თანხმობის მომზადება; წერილობითი თანხმობის მომზადება იმ შემთხვევაში თუ არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას; II, III, IV და V კლასის ობიექტების შემოწმება; ქალაქ რუსთავის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე შექმნილი კომისიიის წევრი; გარე რეკლამის აუქციონის კომისიის მდივანი; არქიტექტურული კონკურსების ჩატარების კომისიის მდივანი.

**დირექტორის მოადგილე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული შპს "დიზაინ ცენტრი"**, ოქტ / 2006 - ივნ / 2008,
მოვალეობები: არქიტექტურული და დიზაინის პროექტების შექმნა, მენეჯმენტი და მართვა
მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

**დირექტორი და დამფუძვნებელი, შპს M&G**, ივნ / 2005 - ოქტ / 2006
მოვალეობები: არქიტექტურული და დიზაინის პროექტების შექმნა, არქიტექტურული პროექტების ექსპერტიზა; ფირმის მართვა და მენეჯმენტი.
მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

**დირექტორი, შპს " პროექტი 2000"**, მარ / 2003 - ივნ / 2005,
მოვალეობები: მენეჯმენტი და მართვა;

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

**არქიტექტორი, შპს " პროექტი 2000"**, მარ / 2000 - აპრ / 2003
მოვალეობები: არქიტექტურული და დიზაინის პროექტების შექმნა
მიზეზი: დაწინაურება

## უცხო ენები

ქართული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი),
რუსული (წერა:კარგი,მეტყველება:კარგი),
ინგლისური (წერა: დამაკმაყოფილებელი,მეტყველება:დამაკმაყოფილებელი)

## კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (კარგი), Arc GIS (კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Artlantis Studio (კარგი);Adobe after effects (კარგი), Photoshop (ძალიან კარგი), ინტერნეტი (ძალიან კარგი), ART GiS (კარგი).

## ტრენინგები, სხვა მიღწევები

**TBSC კონსალტინგ**, სექტემბერი / 2014 - სექტემბერი / 2014
რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავება
**USAID EPI საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**, აგვისტო / 2014 - აგვისტო / 2014
შენობა–ნაგებობების უსაფრთხოების წესები
**TBSC კონსალტინგ**, მაისი / 2014 - ივნისი / 2014
რეგიონული განვითარების სტრატეგიების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოს ოთხი რეგიონისთვის;

## პროექტები

• **არქიტექტურული და დიზიანი**, იანვარი / 2000 - დღემდე
საზოგადოებრივი, საცხოვრებელი სავაჭრო, საზკვების, მრავალფუნქციური, არქიტექტურული, დიზიანის, სამშენებლო პროექტების შექმნა და საექსპერტო შემოწმება.

შესრულებული პროექტები:

- ქალაქ რუსთავში მე-8 მკ/რ-ნის ბინა №8-ის მიმდებარე ტერიტორია, 4 სართულიანი სავაჭრო ობიექტი; 2006 წელი;
- ასპინძის რაიონი, იტალიური ყველის ქარხანა-საწარმო სასაწყობო შენობით და 2 ცალკემდგომი 500-500 სულ საქონელზე სადგომებით (იტალიური სტანდარტებით); 2006 წელი;
- ქალაქი რუსთავი , კლდიაშვილის ქუჩის მიმდებარედ, არსებული სკვერის რეაბილიტაცია და შადრევანის მოწყობა; 2007 წელი;
- ქალაქ რუსთავში, მესხიშვილის ქუჩა 12; 4 სართულიანი სავაჭრო ობიექტი; 2007 წელი
- ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირი N6, არსებული 2 სართულიანი უნივერმაღის რეკონსტრუქცია, 2 სართულის მიშენება-დაშენება; 2006 წელი;
- ქალაქ რუსთავში, მე-17 მკ-რ-ნი №30-ის მიმდებარე ტერიტორია, კომპლექსი- 3 სართულიანი საზკვების ობიექტი და ცალკე მდგომი სვაჭრო ობიექტი; 2012 წელი;
- ქალაქ რუსთავში, ქუჩა მესხიშვილი N 5, სავაჭრო ცენტრი, საზკვების ობიექტი- კაფე-ბარი (ინტერიერის დიზაინთან ერთად); 2008 წ.(ახლი მშენებლობა)-2019 წ. (რეკონსტრუქცია)
- ქალაქ რუსთავში, ხალხთა მეგობრობის გამზირი 10, სამედიცინო ცენტრი; 2010 წელი.
- ქალაქ რუსთავში, მაზნიაშვილის ქ.№2, ლითონკონსტრუქციების ქარხანა “CS”-რეკონსტრუქცია; 2014 წელი.
- ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, სასტუმრო "სპუტნიკი"-ს მიმდებარედ (64.30.07.366); გრგ და შესაბამისი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი; 2014-2015 წ.წ.
- ქალაქ რუსთავში, დავით გარეჯი ქუჩა N 36, შპს „ჯეოსთილი“-ს სილიკომანქანუმის ქარხნა; 2018-2019 წელი;
- ქალაქ რუსთავში, დავით გარეჯი ქუჩა N 36, შპს „ჯეოსთილი“-ს ტერიტორიის გრგ; 2018 წელი;
- ქალაქ რუსთავში, ხალხთა მეგობრობის მოედანი, „გმირთა მემორიალი“; 2009 წელი;
- ქალაქი რუსთავი, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, N 33, შპს „არენა“, საცურაო აუზის რეკონსტრუქცია, აკვაპარკის პროექტი; 2015 წელი;
- გარდაბანი, სოფელ აღთაკლია; სამედიცინო აპარატურების ერთჯერადი სახარჯი საოპერაციო მასალების სტერილების, წარემოების და რეალიზაციის საწარმოს პროექტი; 2019 წელი;
- ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები ქ. რუთავში, ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, გარდაბნის რაიონში და სხვა.

ინსპექტირებული (ექპერტიზირებული) პროექტები 2017-2020 წ.წ.:

- ქ. ქუთაისი, ავტომობილების ქარხნის ქ.41; ქარხნის და საწყობის შენობების პროექტი;
- ქ.თბილისში, პოლიციის (ყოფილი ჟორესის) ქუჩის N7 ავტოსერვისცენტრში შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ202886788) შენობის ), კერძოდ: სერვისცენტრი-ადმინისტრაციის, სარეგისტრაციო და ავტოსამრეცხაოს პროექტი;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისში ძოუდოს სპორტული დარბაზი;

- ქ.თბილისში, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ადმინისტრაციული ოფისი;
- ქ. ბოლნისში თამაზ სტეფანიას სახელობის ცენტრალურ სტადიონის რეკონსტრუქცია, ტრიბუნის, პრესის და საპატიო სტუმრებისათვის ახალი ლოჟის მოწყობის პროექტი;
- ქალაქი ბოლნისი, ორბელიანის 111ა, იუსტიციის სახლი;
- ქ. ბოლნისში თამაზ სტეფანიას სახელობის ცენტრალურ სტადიონის რეკონსტრუქცია, ტრიბუნის, პრესის და საპატიო სტუმრებისათვის ახალი ლოჟის მოწყობა;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ კუმისში’ ბაგა-ბაღის პროექტი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, ბაგა-ბაღის პროექტი;
- კასპის მუნიციპალიტეტი,ს სოფელ კოდისწყაროს (ზემო რენე) საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ სართიჭალაში არსებული საჭიდაო დარბაზის რეკონსტრუქცია-გაფართოების პროექტი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელ მარტყოფში სპორტული დარბაზის მშენებლობის პროექტი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელ ნორიოში სპორტული დარბაზის მშენებლობის პროექტი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელ კუმისში სპორტული დარბაზის მშენებლობის პროექტი;
- გარდაბნის იუსტიციის სახლის პროექტი (მის:ქალაქი გარდაბანი, ქუჩა დ. აღმაშენებლის N83)
- საკუთარი შემოსავლებიდან-პროგრამა "საზოგადაოებირი ცენტრების (სოფლის სახლები) მშენებლობა";
- ქალაქი ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა, ნაკვ. №50.04.47.526-ში იუსტიციის სახლის შენობის პროექტი;
- ქალაქი ზესაფონი, ასლანიკაშვილის სანაპირო ნაკვ. №32.10.37.683 იუსტიციის სახლის შენობის პროექტი;
- ქალაქი სამტრედია, თამარ თავაძის ქუჩა №2 , იუსტიციის სახლის შენობის პროექტი;
- ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე, იუსტიციის სახლის შენობის პროექტი;
- ქ. თერჯოლაში, რუსთველის ქუჩა №116, იუსტიციის სახლის პროექტი;
- ქ. გორი სოფელი ხიდისთავი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის პროექტი;
- ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 5 შესახვევი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროექტი;
- ქ. თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქუჩის №119-121-ის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდის № 01.13.02.008.186) საღებავების საწყობის პროექტი;
- ქ. ბათუმი, კახაბრის ქ. N36; საავადმყოფოს შენობაზე მიშენება-დაშენება;
- ქ. თბილისი, მუხიანი, თემქის გზატკეცილი, ნაკვ. 04/162; მრავალფინქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
- ქალაქი თბილისი, ქუჩა იპოლიტოვ-ივანოვის (ყოფილი ქერჩის), N 10, (ნაკვ. 29/68) ს.კ. 01.11.05.029.300; მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი
- ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N144ა/144-ის მიმდებარედ; ავტოსერვისი;
- ქ. ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის მე-2 შესახვევი N6ა; სასტუმროს არქიტექტურული პროექტი;
- ქ. თბილისი აეროპორტი ნაკვ. 001/255; საქართველოს ფოსტა-ს საერთაშორისო გაცვლის და დახარისხების ცენტრის პროექტი;
- ქ.თბილისში ორხევის სამრეწველო ზონა (ს.კ.01.19.17.001.046); სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტი;

- ქ. გორი ცხინვალის გზატკეცილი N9; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი;
- ქალაქი ქარელი, ახალგაზრდობის ქუჩა; იუსტიციის სახლის პროექტი;
- ხაშური, ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მოწყობის პროექტი;
- ქალაქი ხონი, მოსე ხონელის ქუჩა №40; იუსტიციის სახლის პროექტი;
- ქალაქი ბათუმი, დასახლება გონიო N 05.36.26.489; სასტუმროს პროექტი კვარიათში;
- ქ. ბათუმი, ხიხანის ქ. N1ა; თხილის მიმღების პროექტი;
- ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ#6-ის მიმდებარედ. საკ. კოდით (01.19.23.015.096), საოფისე შენობის პროექტი;
- ქ.ბათუმი, ანგისას 70; შპს ნიუ დეველოპმენტი; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი;
- ქ.თბილისი, ი.ჯავახიშვილის ქ. 60; საქართველოს ნოტარიუსთა პალატის შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქალაქი სენაკი, ელიავას ქუჩა სკ/44.01.34.275, იუსტიციის სახლის პროექტი;
  და სხვა.